საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ი ს ა ბ ჭ ო

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №07-01/10

ქ. ბათუმი **28.02.2023 წელი**

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალიზმის სწავლების ევროპულ ასოციაციაში (EJTA) გაწევრიანების თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, წესდების მე–10 მუხლის, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ივდით დიასამიძის 2023 წლის 06 თებერვლის MES 5 23 0000124783 სამსახურებრივი ბარათის, საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის ირინე ბერიძის 2023 წლის 13 თებერვლის MES 0 23 0000166296 სამსახურებრივი ბარათის, ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2023 წლის 22 თებერვლის MES 9 23 0000208856 სამსახურებრივი ბარათის, ,,ბსუ-ს 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 23 დეკემბრის N07-01/57 გადაწყვეტილების, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 28 თებერვლის სხდომის №07-02/02 ოქმისა და წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. მოხდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაწევრიანება ჟურნალიზმის სწავლების ევროპულ ასოციაციაში (EJTA).
2. ბსუ-ს ჟურნალიზმის სწავლების ევროპულ ასოციაციაში (EJTA) გაწევრიანების მიზნით, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა უზრუნველყოს ამავე ასოციაციაში ყოველწლიური საწევრო გადასახდელის - 750 ევროს გადარიცხვა.
3. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ, ბსუ-ს ბიუჯეტის პროექტის მომზადებისას, ყოველწლიურად გათვალისწინებული იქნეს ჟურნალიზმის

სწავლების ევროპულ ასოციაციაში (EJTA) ყოველწლიური საწევრო შენატანის განხორციელებისათვის საჭირო ხარჯი.

4. გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებ-გვერდზე.
5. გადაწყვეტილება დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის აპარატს, რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტს, სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
6. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
7. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. № 30) მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,

პროფესორი **ჯემალ კარალიძე**